ბი თუ არა.

— თუ რომ ბაბუას ეყვარებით, მეც შემიყვარდებით. მართლა, სადაა ბაბუა, რატომ აქ არ არის! შეშინებული სახით იკითხა ბავშმა.

თითქოს ბავშის საპასუხოთ იმავე წუთას მოისმა გარედან რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმა, კარი გაიღო და ოთახში შემოვიდენ ბატ. მორტონი, პასტორი და ბაბუა იანვარი. მოხუცმა მეზღვაურმა თავაზიანათ მიაწოდა სტუმრებს სკამები და ცეცხლისაკენ მიიპატიჟა, თვითონ კი ოთახის მეორე კუთხეში გაჩერდა კედელთან.

მოხუცს ხელში თავისი დაჩენჩილი ქუდი ეჭირა და თითქოს დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ამ ქუდს... ბავშის თვის არც ერთხელ არ შეუხედავს, თუმცა ამავე დროს არც ერთი მისი მოძრაობა არ გამოპარვია მოხუცის თვალს.

— ჯორჯ! სიხარულით შესძახა ქმარს ქ—მა მორტონმა, აი ჩვენი ძვირფასი დისწული! ეს შემპირდა, რომ შემიყვარებს, შენ ძიაც უნდა გიყვარდეს, ჩემო პაწიავ, მიუბრუნდა ის შუქურას. შენი ძია კეთილი კაცია, მიდი, აკოცე, იზაბელა!

შუქურა მორჩილებით მივიდა ბიძასთან, რომელმაც აკოცა ბავშს და მიუალერსა. მორტონს უნდოდა მუხლზე დაესვა ბავში, მაგრამ ის ელვასავით მოსწყდა და გაეშურა იმ ადგილს, სადაც უძრავათ იდგა ბაბუა მისი. მან სწრაფათ წაავლო ხელი მოხუცის ხელს და მაგრათ აკოცა.

მე ამისი შვილი ვარ, ხმა-მაღლა განაცხადა ბავშმა და თამამათ გადახედა ყველას. რატომ მეძახით თქვენ „ჩემო“, ბავშმა შენიშნა დედიდას სახის მოღრუბლვა და დაუმატა:

— თქვენც მეყვარებით, დედიდა იზაბელა, მაგრამ როგორ შემიძლიან თქვენი შვილიც ვიყო და ბაბუასიც? მე ბაბუნის შუქურა ვარ, აი ვინა ვარ მე! ორთავენი მეყვარებით ამ სიტყვებზე მან შეხედა თავის ბაბუას და ამ შეხედვაში უსაზღვრო სიყვარული გამოხატა, მაგრამ მოხუცი უძრავათ იდგა და დაჟინებით იცქირებოდა ძირს. მხოლოდ მისი მზისაგან დამწვარი ხელის კანკალი ამჟღავნებდა იმის შინაგანს მღელვარებას იმ დროს, როცა ის ვითომ სრულიათ დამშვიდებული ეუბნებოდა თავის ნაშვილევს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წყნარა, წყნარა, ჩემო პაწიავ!

საერთო დუმილი ჩამოვარდა. პასტორმა სხვებზე ადრე დაარღვიეს დუმილი. მან დამამშვიდებელი კილოთი დაიწყო:

— ძვირფაწო ბავშო! შენც მიხვდები, რომ ყველანი, ვინც დღეს აქ შეკრებილან, ცდილობენ მხოლოდ იმას, რომ შენ ბედნიერი იყო. დღემდის შენ იყავი მორჩილი და მოყვარული შვილი იმ ადამიანისა, რომელმაც ნამდვილი მამობა გაგიწია. ასეთი მამა იშვიათათ მოიძებნება ნამდვილ მამებშიაც მაგრამ სისხლით ნათესაობა მაინც იმდენათ წმინდაა, რომ მას ან გარიში უნდა გაუწიოთ. მშობლების შემდეგ ვინდაა ჩვენი მახლობელი ნათესავი, თუ არ დედიდა! მოვილაპარაკეთ კიდევაც ბაბუა შენმა და შენმა ნათესავებმა. შენი დედიდა უზომოთ ბედნიერია, რომ გიპოვა. უნდა დედის მაგიერება გაგიწიოს და აგზარდოს თავის შვილებთან ერთად. თავ და პირველათ შეიძლება მოგწყინდეს კიდეც, ბაბუას გაშორება გაგიჭირდეს, მაგრამ შენ ჭკვიანი გოგონა ხარ და ადვილათ გაიგებ, რომ ეს შენთვის უმჯობესია, რომ საქმე შენ მომავალ ბედნიერებას ეხება.

ქალბატონი მორტონი და მისი მეუღლე გულის-ძგერით შესაცქეროდენ ხან პატარა ბავშს, ხან უძრავათ მდგომ მოხუცს.

შუქურას სახე ამ დროს საოცრათ იცვლებოდა! ის ხან ალმურივით აინთებოდა, ხან სანთელივით გაყვითლდებოდა, თვალებში კი რაღაც სხვა ნაირი, არა ჩვეულებრივი ნაპერწკალი კვესავდა.

— თქვენ შეგიძლიათ მომკლათ და წაიღოთ აქედან ჩემი გვამი, ცოცხალი კი მე არასოდეს არ მივატოვებ ჩემ ბაბუას. ამ სიტყვების წარმოთქმაზე ბავშმა თვალები მიაპყრო დედიდას და ბიძას, თითქოს მართლა ელოდა—ესაა მომვარდებიან და მამკლავენო.

— ჩემო ძვირფასო მტრედო! წარმოსთქვა ქ-მა მორტონმა. დამიჯერე, მე თვითონ ძალიან მემძიმება შენი აქედან წაყვანა; ვიტანჯები, რომ წარმოვიდგენ შენსა და შენი კეთილი ბაბუას დაშორებას, მაგრამ ეს ხომ აუცილებელია! თვითონ იფიქრე, ჩემო კარგო; სანამ პატარა ხარ, კიდევ შეიძლება ისე იცხოვრო, როგორც ახლა ცხოვრობ. მაგრამ გავა დრო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ თვითონ ინანებ, რომ სხვა ბავშებივით არ სწავლობ, გარდა ამისა შენ აქ ტოლ-ამხანაგები არ გყავს, მარტოთ-მარტო იზრდები. ჩვენთან კი ჩემი შვილების სიყვარული და მეგობრობა მოგელის. ჩემთვის და ჩემი ქმრისთვის შენ იქნები უძვირფასესი, საყვარელი შვილი.

— თუ მე მოვკვდები, ჩემთვის სულერთია ვისაც უნდა ვუყვარდე. მე კი, იცოდეთ, მოვკვდები, თუ ბაბუას დავშორდი, ისევ ისე გაბედულათ გაიმეორა ბავშმა.

— შეაგონეთ ბავშს ის, რაც მე მითხარით თქვენ, კაპიტანო! ვედრების კილოთი მიმართა ქალბატონმა მორტონმა მოხუც მეზღვაურს. უთხარით, რომ თვითონ თქვენი სურვილიც არის ბავშის ჩვენ ოჯახში წაყვანა. მოხუცს ეტყობოდა დიდის გაჭირვებით იბრუნებდა სულს. ის დიდხანს ხმას ვერ იღებდა. ბოლოს, როგორც იყო, დასძლია მღელვარებას და ვითომც დამშვიდებული ხმით წარმოსთქვა, თუმცა ამ დროს მთელი მისი ძლიერი ტანი ისე კანკალებდა, როგორც გამხმარი ფოთოლი ტოტზე.

— ჩემო ნათელო შუქურავ! გახსოვს, რა ხშირად ვლაპარაკობდით მე და შენ იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყვენ შენი მშობლები, შენი ახლო ნათესავები... ხომ ხედავ, ახლა გამოჩდენ შენი... ნათესავები... შენი მოკეთეები... შენ იმათთან უნდა იცხოვრო, იმათთან აღიზარდო—ეს ცხადია. აქამდი შენ ჩემი სახლის სიხარული და მხიარულება იყავი; ახლა შენ შენი მოვალეობა უნდა შეასრულო შენი ოჯახის წინაშე. მე მუდამ შენზე ვიფიქრებ და ვიცი შენც არ დამივიწყებ. მე აქ არა მიშავს-რა მარტოობით.. ბებრებს უყვართ მარტოობა და მოსვენება.. მეც გავუძლებ ასეთ ცხოვრებას...

ხმა ჩაუწყდა საბრალო მოხუცს, მას აღარ ჰქონდა მეტი ლაპარაკის ღონე. მისი მკერდი მძლავრათ ღელავდა.

— მაშ შენ მე მაგდებ, ჩემო ბაბუა? დაიყვირა ბავშმა ისეთი სასოწარკვეთილებით, რომ ყველა შეკრთა. შემომხედე, ჩემო ბაბუა, შემომხედე პირდაპირ! მე მინდა პირდაპირ შემომხედო. ამ სიტყვებზე ბავშმა გამოსტაცა ბაბუას ხელიდან ქუდი, სწრაფათ შეაგდო ცეცხლში! თვითონ წაავლო ხელი ბაბუას ხელს და ამით აიძულა ის მისთვის პირდაპირ შეეხედნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თვითონ შენი სურვილია, რომ მე შენ გაგშორდე? გინდა, რომ მე შენ მიგატოვო, ჩასციებოდა ის აღელვებულ მოხუცს.

— აი რა გითხრა, ჩემო პაწაწავ! მე ხომ თან და თან ვბერდები, ღონე მერთმევა... სადღა შემიძლია, ჩემო ძვირფასო, შენი მოვლა—პატრონობა... ამიტომაც ვფიქრობ, შენთვის უმჯობესი იქნება წახვიდე...

— შენ ტყუილს ამბობ, ბაბუა, ხმა მაღლა დაიყვირა ბავშმა და სანამ იქ მყოფნი გონს მოვიდოდნენ, ის შეხტა ფანჯრის თაროზე, გადახტა გადაღმა და გაქრა.

კაპიტანი ულონოთ დაეშვა მახლობელ სკამზე.

— დიახ, ბატონებო, ბავში მართალია—სთქვა მან ძლივს გასაგონი ხმით:—მე ვიცრუვე. ვიცრუე ღვთის წინაშეც, ამ ბავშის წინაშეც, ღმერთმა მაპატიოს ეს სიცრუე, მაპატიოს ამ ძვირფასმა ანგელოზმაც. ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა ამ სიტყვე-



ბის შემდეგ. მორტონმა ანიშნა ცოლს მასთან მისულიყო და წყნარათ უთხრა:

— იზაბელა! მე აღარ შემიძლია ამ საქმეში კიდევ ჩავერიო! თუ შენ იგივე ქალი ხარ, რომელსაც მე ამდენი ხანია ვიცნობ, მიხვალ ამ მოხუცთან და გაუცხადებ, რომ ბავშს არ წაიყვან, მას დაუტოვებ. მე მგონი მზად ვარ ერთი ჩემი საკუთარი შვილიც მივცე ამ უცნაურ მოხუცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალცრემლიანმა ცოლმა ალერსიანათ გაუღიმა ქმარს, მერე მივიდა მოხუც მეზღვაურთან, წყნარათ მოიხარა მუხლი მის გვერდით, აიღო მოხუცის ორივე ხელი და ალერსიანათ მიმართა:

— ძვირფასო კაპიტანო! მე დარწმუნებული ვარ თქვენი უმანკო სიცრუე გეპატიებათ, მე კი გეტყვით: ღმერთმა ნუ მაპატიოს ნურასოდეს ჩემი თქვენდამი შეცოდება, თუ რომ როდისმე კიდევ მოვინდომო დაგაშოროთ ძვირფას ბავშს, რომელიც თვით ღმერთს უჩუქებია თქვენთვის.

შემოდგომის საღამოს თბილი და რბილი ზღვის სუფთა ჰაერი საამოთ ეფინებოდა იქაურობას; ოდნავ შესამჩნევი ბურუსი ფარავდა გაშლილ ზღვის სივრცეს და კანდელის კოშკსაც.

სტუმრები წასულიყვნენ კიდეც.

კაპიტანი იანვარი ცეცხლის პირას იჯდა თავის დიდ სავარძელში. ღია ფანჯარაში უხვად შემოდიოდა ზაფხულის ჰაერივით დამტკბარი ზღვის ჰაერი. მოხუცი ჩუმათ ლოცულობდა და მადლობას სწირავდა უფალს მისი ახალი ბედნიერებისათვის.

უცბათ ფანჯრის გადაღმა მსუბუქ ლანდივით გაიელვა ვიღაცამ, იმწამსვე შემოცქრიალდა პატარა გოგონა და ბაბუას ჩაეკონა.

ბაბუნი, წარმოსთქვა ბავშმა, ხანგრძლივი, სანეტარო სიჩუმის შემდეგ—მაპატივე, რომ შენი ძველი ქუდი დაგიწვი!..

ნ. შ

(დასასრული შემდეგში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარტაკი.

IV

ბარტაკი თავის დროზე არა ჩვეულებრივი კაცი იყო. მისი გარეგნული მოყვანილობა იზიდავდა ხალხს. იყო მაღალი, წამოსადეგი, მშვენიერი შეხედულობის ვაჟკაცი, გრძელი ქერა თმით და სქელი წვერ-ულვაშით. ლურჯ ფართო თვალებში მუდამ ეხატებოდა სიმშვიდე და უმაღლესი კეთილშობილება. ამის გარდა სპარტაკი ერჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ღონით, თავგანწირული მამაცობით. ძველათ ასეთს სრულს და ყოველისფერით შემკულს ადამიანს პირდაპირ აღმერთებდენ. მართლაც გასაღმერთებელი იყო სპარტაკი. მის გარეგნულ სილამაზეს თან დართობოდა სულის სიმშვენიერე. გული მისი უსაზღვრო სათნოებისა და სიყვარულის ზღვა იყო. ბუნებრივათ ნათელი, გონებით დაჯილდოვებული იგი ადვილათ ითვისებდა ყოველისფერს, იცოდა ყველაფერი ის, რაც იმდროის განათლებულ ადამიანს მოეთხოვებოდა. მას სძულდა უსამართლობა, პატივსა სცემდა სამართლიანობას. ყველა ხალხს თანასწორებათ სთვლიდა. ხალხის დაყოფა მონებათ და თავისუფლებათ როგორღაც გაუგებარი იყო მისთვის. ეს საკითხი მთელის არსებით აშფოთებდა მის სულსა და გულს. იგი მზათ იყო ამ საკითხისთვის ყოველისფერი გაეწირა, თვით სიცოცხლეც კი. რომაელთაგან მას კარგი წარჩინება ელოდა, მრავალი საჩუქარი, თუ კი მათს ლეგიონებში ჩაეწერებოდა ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობათ, მაგრამ ყოველი მაცდურება ამაო იყო, ვერ მოისყიდავდა მის სპეტაკს გულს. ახლა დაუმატეთ ისიც, რომ სპარტაკი არა მარტო საკვირველი ენერგიის ადამიანი იყო, იმავე დროს საუკეთესო მჭერმეტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც და მაშინ მიხვდებით, თუ რატომ იყო, რომ ყოველი მისი სიტყვა ანდამატურათ იზიდავდა არა მარტო ბედით განწირულ მონებს, თვით თავის მტრებსაც კი ჰხიბლავდა, აჯადოვებდა, უნებურად ახდენდა კეთილშობილურს გავლენას.

სპარტაკის სამშობლო ფრაკია იყო, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. როდესაც რომაელები დაეცნენ ამ ქვეყანას, სპარტაკი თავის მემამულეთა ჯარებში ვეფხსავით იბრძოდა, ვიდრე დაჭრილი ერთ მარცხ ბრძოლის შემდეგ თავისიანებთან ერთად ტყვეთ არ ჩაუვარდა გამარჯვებულთ. რომაელები განცვიფრებულნი იყვენ მისი მამაცობით. ამიტომ იყო რომ სასიკვდილოთ ვერ გაიმეტეს, ჭრილობა მოურჩინეს და თავიანთ ჯარებში მოწინავე მებრძოლთა შორის ჩააყენეს. სპარტაკმა გაამართლა მათი ნდობა და რამდენიმე ომში თავი ისახელა, რის გამოც მალე დააჯილდოვეს და ათის თაობაც მიანიჭეს. შესაძლებელი იყო სპარტაკი რომაელი მამულიშვილი გამხდარიყო, რომ მას ბრძოლა მუდამ სხვა ტომის ხალხებთან მიხდომოდა. შესაძლებელი იყო ისიც, რომ მალე მთელი ლაშქრის სარდლობაც მიენიჭებინათ მისთვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ერთ სამწუხარო და მეტად უმადურ ამბის გამო: რომაელებმა ხელახლად დაიწყეს ლაშქრობა სპარტაკის სამშობლო ქვეყნისაკენ და მასაც უბრძანეს თავისი რაზმით მონაწილეობა მიეღო ამ ლაშქრობაში. შეძრწუნებულმა სპარტაკმა, აღარ იცოდა რა ექნა, როგორ ეშველნა თავისთვის, როგორ აემართნა მახვილი საყვარელ მშობლის გასაგმირავათ. მან ვერ მოითმინა ასეთი უსამართლობა და ფიცხელ ბრძოლის დროს უეცრივ ხმალი იბრუნა, ფრაკიელთ გვერდში ამოუდგა და რომაელთ ლეგიონებს გადაერია. იგი არ უფრთხილდებოდა თავს. უნდოდა სწორეთ ისეთს ადგილას მოხვედრილიყო, სადაც შეეძლებოდათ მისი მოკვლა. მაგრამ ბედმა თითქოს დასცინა მის კეთილშობილურს განზრახვას და ამ მეორე ომშიც დაჭრილი კვლავ ტყვედ ჩაუვარდა რომაელებს. რომაულ კანონით ეხლა მას სიკვდილით დასჯა ეკუთვნოდა, მაგრამ რაღაცა წყალობით, ალბათ იმის ვაჟკაცობის გამოისად თუ, ეხლაც იპატიეს და სასჯელათ გლადიატორთა რიცხვში მოაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციეს. ამ დროიდან დაიწყო სპარტაკისათვის ახალი დრო, ახალი ხანა, აქედან იწყება მის კეთილშობილურ განზრახვათა გამოსავალ გზის ძიება, რასაც შემდეგში უნდა შეერყია სვეტბედ მორჭმულ დიდი რომის მყუდროება და თავაწყვეტილი მეჯლისი.

V

სპარტაკს საწადელის მიღწევაში დიდათ შეუწყო ხელი მასწავლებელმა, რომელმაც ორი წლის განმავლობაში მთელი იტალიის ქალაქები შემოატარა და ასჯერ მეტათ მიაღებინა მონაწილეობა სხვა ქვეყნის გლადიატორებთან ბრძოლაში, იგი რაღაცა მანქანებით უვნებლათ გამოდიოდა. მალე თითქმის ყოველ ქალაქში იცნობდენ მას როგორც უძლეველს ფალავანს და საუცხოვო მოფარიკეს. არც ერთ ბრძოლაში მას არ მიუღია სერიოზული ჭრილობა. მის შესახებ ლექსების სიმღერას მიჰყვეს ხელი. მრავალი ლეგენდა და ზღაპრული თქმულებანი გადაჭარბებულათ დაასკვნიდენ მის უძლეველობას.

მისი სახელის შესახებ ბევრი რამ უამბეს ამ დროს რომის სახელოვან დიქტატორს სულლას. მან მოიწადინა მისი ნახვა. ამიტომ რომშივე გამართა მან დიდებული დღესასწაული, სადაც ბრძოლაში მონაწილეობას მიაღებინებდენ სპარტაკს და ყველა საუკეთესო გლადიატორებს.

დილა ადრიან აუარებელი ხალხი მიაწყდა ცირკის კარებს. ბავლა ადარ იყო, სულლას და დიდებულთ სადღესასწაულო ლიმი დაჰქროდათ ტუჩებზე. სანაძლეოს სდებდნენ, რომ სპარტაკი დამარცხებული გამოვიდოდა ამ ბრძოლაში. მაგრამ სპარტაკმა ნამდვილი სასწაული მოახდინა. მის მარჯვე ფეხ-მარდ ფარიკობას აღტაცებაში მოჰყავდა გამარჯვებით დამთვრალი მედიდური სულლა. მოწინააღმდეგეთ ერთის შეტევით აქროლდა ლანდათ. დღესაც, როგორც ყოველთვის, იგი გამარჯვებული გამოვიდა. მაყურებელნი ყიჟინით და მოწონებით თანტაშს უკრავდენ, თანაც მოითხოვდენ მამაც გლადიატორისთვის უსათუოდ თავისუფლება მიენიჭებინათ. სპარტაკს თვითონვე არ სჯეროდა თავის ბედისა, როდესაც თავისი თავი კვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავ თავისუფლათ წარმოიდგინა. სიზმარეულს მდგომარეობიდან როცა გამოვიდა და მართლა თავისუფლებაში დაარწმუნეს, უცბად მოიღრუბლა, კეთილშობილურს მის შუბლს სევდის ნაღველი გადაეფარა. ეხლა უფრო, ვიდრე მონობაში, უზომოდ აკვნესდა მისი გული. მას არ აკმაყოფილებდა პირადი ბედნიერება. იგი, მართალია თავისუფალი იყო, მაგრამ მისი ამხანაგები კვლავ უღელში რჩებოდენ. მანქანებრივ იბრძოდენ სხვათა გულისთქმათა დასაკმაყოფილებლათ. და სპარტაკმაც ალარ მოისურვა სამშობლოში დაბრუნება, ყველასთან ერთად ტანჯვა-წამება, ან ყველასთან ერთად სამშობლოს გულში ბედნიერი სიკვდილი, მონობის უღელ ახდით, თავისუფლათ. არა რომელიმე მწირ მეუდაბნოესავით ეული სახით, არამედ ამ გაწამებულთა ლაშქრის მეთაურად სურდა შესულიყო სამშობლოს კიდე-საზღვრებში, რომ დედებისთვის მათი შვილები დაებრუნებინა, ცოლთათვის ქმრები, ხოლო შვილებისთვის მამა-პატრონი. ამიტომაც განთავისუფლების დღეიდანვე იგი მიეცა საიდუმლო ნაღველს, საიდუმლო ფიქრებს და ზრახვათ, რომელნიც შორიდან ხელის ქნევით ბევრ რამეს ჰპირდებოდენ მავრამ თანაც სიკვდილით ემუქრებოდენ, თუ კადნიერებას თან სათანადო ძალას არ მიაყოლებდა.

ფარულ ზრახვათა განსახორციელებლათ მან დაიწყო მოზრდილთა ძებნა. იგი ყოველ დღე დადიოდა რომის სხვა და სხვა კუთხეში, სადაც სკოლები ბლომად იყო გლადიატორთა გასაწრთვნელათ. სკოლებს გარდა მას ნახავდით სამეკიტნოებში, სარდაფებში, ერთი სიტყვით, ყოველგან, სადაც კი გლადიატორებს უყვარდათ თავის მოყრა. გლადიატორთა შორის იგი ერთის შეხედვით სცნობდა ვინ უფრო გამოადგებოდა, მას ცალკე იხმობდა, ამხნევებდა, გაიამხანაგებდა, თავისუფლების ნექტარს მოაწყობდა და შურის საძიებლათ განამზადებდა: „რომმა ყოველისფერი წაგვართვა, რის წართმევაც კი შეეძლო, ეუბნებოდა იგი. მან ჰაერისა და სინათლის მეტი წილად ალარა გვარგუნა რა, უეჭველია ამასაც გამოგვტაცებდა მახვილის წვერით, თუ კი ამის წართმევა მის ხელთ იყოს! მაგრამ უნდა დაეცეს ძლიერი, შური ვიძიოთ ყველამ! მას უფლება არა აქვს ქვეყნიერება ჩანთქას, ჩაყლაპოს. თუ ერთსულოვნობა იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, ჩვენ შეგვეძლება მის რკინის კარების შელეწვა, და უძლეველის დამხობა. უმჯობესია დავიხოცოთ, ვიდრე ასე შერცხვენილნი ვატარებდეთ მონობის უღელს. სიკვდილი ჯალათებს! სამშობლო და თავისუფლება ან და სიკვდილი ვაჟკაცური!"

გატაცებით უსმენდენ მონები სპარტაკის მგზნობიერს სიტყვებს. აცახცახებულნი ცეცხლათ ეგზნებოდენ, თვალებში შეჰყურებდენ და მასში ელოდენ მხსნელს, დიად წინამძღვარს. რომელსაც კეთილშობილურ განზრახვასთან ერთად დიადი რწმენა და ძალაც შესწევდა, რომ ყოველივესფერს კეთილად დააგვირგვინებდა. და აი, მის სიტყვებს ესენიც თავ-თავიანთ ამხანაგებს გადასცემდენ, ვისაც ვერ შეეძლო პირადათ ნახვა და მოსმენა საშიში, მაგრამ მეტათ მიმზიდველი, სიტყვებისა.

მალე რომის ყველა ქალაქში მონათა შორის შეიქმნა ჩურჩული. მართალია, გარეგნულად თითქოს ყოველისფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, თითქო არაფერი ცვლილება არ მომხდარიყო. მაგრამ ჰაერში სუნი ტრიალებდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი და მოულოდნელი მეხი უნდა დასტყდომოდათ ქვეყნის მბრძანებლებს. სპარტაკის რჩევის თანახმათ, ყველა სკოლებში დაარსდა ფარული წრეები, სადაც შეშოლებული ჰქონდათ საიდუმლო ნიშნები, რომ ვერც მასწავლებელს და ვერც გარეშე მაყურებელთ ვერ გაეგოთ, რა სამზადისში იყვენ მათ მიერ აბუჩათ აგდებული მონები.

თავისუფლების წყურვილმა მალე გაიტაცა შეთქმულნი. სჩქარობდენ რომ სპარტაკს მალე გამოეყვანა საბრძოლველათ, მაგრამ წინდახედული მესვეური ძრიელ ფრთხილობდა; მას კარგათ ესმოდა, რომ თავისუფლება სათამაშო ნივთი არ იყო, რომ მისკენ გადასადგმელი ნაბიჯი ათასჯერ უნდა აწონილ-დაწონილიყო, თორემ მათ წინაშე, ვინც ხმლის წვერის სიმკვეთრეზე შეაგდეს ქვეყნიერების ბედ-ილბალი, ასე ადვილათ ვერ დაამარცხებენ, პირიქით, აჩქარებით მათ შეეძლოთ ყოველისფერს სამუდამოთ გამოსთხოვებოდენ.

## VI

რომის მმართველობის ყურამდისაც მიაღწია გლადიატორების შეთქმულობის ამბავმა, მაგრამ რომაელები შეჩვეულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ გამარჯვებებს და ვერც კი წარმოიდგენდენ, თუ ვინმე წარბს შეუხრიდა, მით უმეტეს მონების მუქარას რა ყურადღებას მიაქცევდენ? ზვიადნი, სვე-ბედ მორჭმულნი მათ თავის თანასწორად არასოდეს არ სთვლიდენ, წინააღმდეგობის გაწევა კი მხოლოთ სწორის მხრით თუ შეიძლებოდა.

„როგორ გაჰბედავენ იარაღის აღებას ჩვენს წინააღმდეგ, — ამბობდენ რომაელები, — ჩვენმა ჯარებმა ქვეყნიერება დაიპყრეს და ეგენი გამოდიან ძლევამოსილთა დასამცირებლათ? სჯობს, რომ დასდუმდენ, თუ გაჰბედავენ, სასტიკი შურისძიების მახვილით განიგმირებიან!«.

სპარტაკი ყურსაც არ ათხოვებდა მათს მუქარას, არც თუ დროს ჰკარგავდა. იგი დაუღალავათ ერთი გლადიატორის სკოლიდან მეორეში გადადიოდა, ყველგან იჩენდა მომხრეებს, ენერგით სავსე ვაჟკაცებს. ყველაზე მრავალი თანამგრძნობნი კაპუაში ჰპოვა, სადაც აუარებელი გლადიატორები ჰყავდათ რომაელებს მოგროვილი გასაწრთვნელათ. აი, სწორედ აქედან დაიწყო სპარტაკმა თავის იდეალების განხორციელება, პირველათ აქ ააფრიალა აჯანყების დროშა. იგი პირველად კაპუის სასწავლებელში შედის როგორც გლადიატორების მწვრთნელი, როგორც ფარიკობის საუცხოვო მასწავლებელი. შესვლისთანავე გლადიატორთა შორის საზოგადო სიყვარული გამოიწვია. ყველას ღრმად სწამდა მისი ჭკუა, კეთილშობილი განზრახვანი და მზად იყვენ მისი თხოვნით ცეცხლში თუ აღელვებულ ზღვაში გადაცვივნულიყვენ. საუბედურო‌ოდ გლადიატორებს იარაღი არა ჰქონდათ. რომაელები საზოგადოთ იარაღს მაშინ აძლევდენ, როდესაც ცირკში გამოჰყავდათ ერთმანეთთან შესაჭლეტათ. სხვაფრივ იარაღს დაკეტილ საწყობებში ინახავდენ, რომელთაც შეიარაღებული დარაჯები იცავდენ.

მართლაც, სპარტაკის წინ მეტათ საძნელო გამოცანა იყო: უიარაღოთ, უფულოთ, ვისიმე მადლიან ხელის დაუხმარებლათ უნდა თავგანწირულებით ჰკვეთებოდა რომაელთა შეიარაღებულს ჯარებს, რომელთაც ყოველს სოფელში და ქალაქში ამხანაგებიც და დამხმარე მოკავშირენიც აუარებელი ჰყავდათ. მაგრამ სურვილი თავისუფლებისა და მოვალეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესი ბრძანება გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ასეთი დაბრკოლება. ¡ამიტომაც სპარტაკმა მტკიცეთ გადასწყვიტა ბრძოლათ გამოსვლა, რათა ან გაემარჯვნათ, ან არა და მთლად გაწყვეტილიყვენ.

სპარტაკის განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ თვით რომაელი ჯარები ძველი გაწრთვნილი და წესიერების დამცველი ჯარები აღარ იყვენ. მრავალმა გამარჯვებამ, ძლევამოსილმა ომებმა მოჰქანცეს; ამის გარდა ნებიერობამ და თავგასულობამ დაამახინჯა მათი სული, გარყვნილ-გათახსირებულნი ღრმათ ჩაეფლენ ფუფუნების ჯადოსნურ ზღვაში და სახიფათო ლაშქრობისთვის აღარ სცალოდათ.

ბოლოს სპარტაკმა გადასწყვიტა მოქმედება. ერთ მშვენიერ დღეს მან მოახერხა რაძდენიმე ათეული გლადიატორით კაპუიდან გაპარვა. ამ პატარა რაზმით მან გაიარა დარაჯების შუა, რომელნიც ქალაქსა და სკოლას ჰყარაულობდენ და პირდაპირ ვეზუვის მთისკენ გასწია. ეს მთა კაპუიდან ორი დღის სავალი გზით იყო დაშორებული. აქ მოსვლისას სპარტაკმა ამოარჩია მოხერხებული საფარი, გაამაგრა ქვის ყორეჯებირით, თანაც შიკრიკები აფრინა იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში, რომ დანიშნულ ადგილისკენ წამოსულიყვენ შეთქმულები. თვითონ კი საკუთარ ფეხით მოიარა მახლობელ დაბა-ქალაქის გლადიატორთა სკოლები, გამოიყვანა თანამოაზრენი, ფარულად შეესია მდიდარ რომაელთა მამულებს და სურსათის მოკრეფას მიჰყო ხელი გამაგრებულ ადგილას მისაზიდათ. „ვისაც თქვენში არ ეშინიან მრისხინე მტერთან ბრძოლისა, ვისაც ღრმად სწამს ჩვენი განზრახვის სიდიადე, დაე ის შეიარაღდეს რითაც მოხვდეს, კეტით, ორთითით. და ჩვენ ამოგვიდგეს გვერდში“, ეუბნებოდა სპარტაკი ყველგან, ჯგუფ-ჯგუფათ შემორტყმულ გლადიატორებს. მისი სიტყვა თილისმურ გავლენას ახდენდა მსმენელებზე. ქუდ მოგლეჯით, აღგზნებული თვალებით მისდევდენ უკან, მიჰქონდათ რაც კი შეეძლოთ, თვით შამფურებიც კი დიდ იარაღათ მიაჩნდათ, ზოგნი კიდევ ქვებს სწვერავდენ და ამით ჰფიქრობდენ პასუხი გაეცათ რომაელთა ცივ იარაღისთვის. კეთილშობილ ბელადისადმი ღრმა რწმენა და უზომო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყურვილი თავისუფლებისადმი მათ სიცოცხლეზე მეტათ ულირდათ.

გლადიატორები მწვერვალზე საუცხოოთ მოეწყვენ. აქ იყო სამკუთხი ველი, რომელსაც მხოლოდ ერთი ბილიკი ჰქონდა მისასვლელ გზათ. ამ საფარს მეორე მხრით ერტყა სალი კლდე, მიუწდომელი წვეტით, მესამე მხრით კი უშველებელი უფსკრული გაჭიმულიყო ისეთის შემზარავი სახით, რომ მარტო ერთი გადახედვაც კი საძნელო იყო; აქედან ვისმეს ამოხვლა ყოვლად შეუძლებელი იყო, მაშასადამე სამთავე მხრით გლადიატორებს არავითარი შიში არა ჰქონოდათ მტრის თავზე დასხმისა.

როდესაც კაპუის მმართველებმა გაიგეს გლადიატორების აჯანყების ამბები, დაუყოვნებლივ ბრძანება გამოსცეს, რომლითაც ძვირფასი საჩუქარი დანიშნეს სპარტაკის თავზე და მის თანაშემწეებზე. ყველა შეთქმულთ ჯვარზე გაკვრა გადაუწყვიტეს. ამასთანავე სასტიკი სასჯელით დაემუქრენ ყველა მათ, ვინც გაჰბედავდენ შეთქმულთა დახმარებას. სენატმა თავის მხრით განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ ჯარის გაგზავნა. მართლაც სპარტაკის საწინააღმდეგოთ გაიგზავნა ერთი ლონიერი და მამაცი, მაგრამ გამოუცდელი მხედარი 1200 კაცით. ამ პატარა ჯარმა სწრაფათ იერიში მიიტანა გლადიატორებზე, მაგრამ რადგანაც მათ საფართან მხოლოთ ერთი გზა იყო, ისიც იმდენათ ვიწრო, რომ მხოლოდ ათ კაცს ძლივას შეეძლო ერთად გავლა, გლადიატორებს საშუალება მიეცა მარჯვეთ დაჰხვედროდენ მათ. მოუხედავათ რომაელთა ჯარისკაცების თავგანწირულებისა, ეს ჯარი დამარცხდა, ოთხასზე მეტი კაცი მოუკვდათ, ხოლო სამასზე მეტი ტყვეთ დანებდენ გლადიატორებს, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელებს ოთხმოცკაცამდე დაჰკარგეს დაჭრილ-დახოცილი.

ეხლა კი სპარტაკს საშუალება მიეცა თანამოაზრეთა უკეთესი შეიარაღებისა რომაელ იარაღით: არა თუ იქ მყოფნი შეიარაღდენ ნადავლით, არამედ საკმაოდ შეინახეს იმ ამხანაგებისთვის, რომელთაც მოელოდენ სხვა და სხვა მხრით. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ მოხდა რაღაც არა, ჩვეულებრივი ამბავი: ეს პირველად დამარცხდა რომის ჯარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომლის უძლეველობაში ეპვი აღარ შეჰქონდა მთელს ქვეყნიერებას. ეხლა კი გათამამდენ გლადიატორები მათთვის ზღაპარი იქცა სინამდვილეთ. გამხნევებულნი თამამად იყურებოდენ ძარღვიან მკლავებზე და იმედიანათ შეჰყურებდენ უღრმესი რწმენით და სათნოებით თვალებ გაბრწყინებულს წინამძღვარს, ბომელიც სასწაულებს ახდენდა. სპარტაკის დაკუმშული მუშტი ახლა ბომის კარებსაც დაემუქრა...

(შემდეგი იქნება)

**დ. კასრაძე.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აგურის ამგავი

ურის მომზადება ძველის ძველ ხელობათ ითვლება და აღმოსავლეთის ხალხმა დიდი ხანია შეითვისა ეს ხელობა. მაგრამ პირველათ აგურის გაკეთება ებრაელი ხალხის ხელით არ იყო. ეგვიპტეში, ასურეთში და ბაბილონიაში აგური შემოიღეს უფრო ადრე, ვიდრე ებრაელების მონებმა დაიწყეს ეგვიპტელებისთვის მისი გაკეთება. ხალხმა ძველათვე შემოიღო აგურის გაკეთება თიხისაგან, რომელშიაც ურევდენ წვრილათ დაკეფილ ჩალას და მზეზე აშრობდენ. რასაკვირველია, მაშინ აგური კარგი არ გამოდიოდა. ცოტა ყინვაც კი, ნამტრევებათ, ფხვნილათ აქცევდა მას. ცხელ, მშრალ ქვეყნებში ამგვარი აგური კარგი გამოსადეგი იყო და თითქმის რამდენიმე ას წელს სძლებდა. ისწავლეს ძალიან მალე კაი თვისების აგურის გაკეთება იმის წყალობით, რომ ცეცხლში გამოსწვავდენ. ძალიან მაგარი და გამძლე ხდებოდა. სხვა და სხვა აგურის ნიმუშები, რომელსაც ხალხი ძველათ ხმარობდა, აქამდის დარჩენილია. ბერძნებმა და რომაელებმა აგურის გაკეთება შეისწავლეს აღმოსავლეთის ხალხისაგან. რომში აქამდის არის რამდენიმე მშვენიერი აგურის შენობა, იმ დროინდელი, როდესაც რომი მთელ ქვეყნიერებას მფლობელობდა.

რომშიაც არის დარჩენილი ამ გვარი ნიმუშები—შენობების ნანგრევები. ზოგ ადგილას მიწის სიღრმეში, ათასწლობით დარჩენილ ღორღში, ნახავთ იმ დროის აგურებს. საკვირველია რომ ამისთანა სასარგებლო შენობის მასალა მაშინვე ყველგან არ იყო შემოღებული. მხოლოთ ქრისტიანობის გავრცელების დროიდან ევროპაში დაიწყეს აგურით ეკლესიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშენება; აშენებას ხელმძღვანელობდა ბერძნების სასულიერო წოდება, რომელმაც შემოიტანა ევროპაში ქრისტიანობასთანავე კულტურაც. აგურს კარგა ხანს ხმარობდენ მხოლოთ ეკლესიების და ციხეების კედლების ასაშენებლათ. სახლებს კი უმეტესათ ხისას აშენებდნენ, რაც ცეცხლის მხრივ საშიში იყო. სანამ აგურის ხმარება არ შემოიღეს სახლებს საკომლეებსაც არ უკეთებდნენ. ბოლი ოთახში დგებოდა, ჭერში მხოლოთ ერთ პატარა ღია ადგილს უკეთებდენ. სახლები საზოგადოთ დაბალი, მოუწყობელი და უვარგისი ჰქონდათ.

აგური გამოდგა იაფ ასაშენებელ მასალათ, ყველგან შეიძლებოდა მისი შოვნა; მაგრამ დიდხანს აგურს ხმარობდენ მხოლოთ ქალაქების შენობებისთვის.

აგურს აკეთებენ წითელი თიხიდან. წითელი თიხა მიწაში სხვა და სხვა ზომის დიდრონ ძარღვებათ არის დაწყობილი. ხან და ხან თიხის ძარღვი გრძელდება რამდენიმე ას საჟენზე სიგრძით და სიგანით კიდევ უდრის ას ვერსს. ზოგჯერ ამნაირი თიხა მიწის ზედა პირზეა, ზოგჯერ კი ღრმათ ძევს.

თიხა შესდგება მაგარი კლდის ჩამონათალისაგან—გრანიტისაგან. გრანიტს თუ დავაცქერდებით, ადვილათ შევამჩნევთ რომ ის პატარ-პატარა ნაკრებიდან შედგება. ნაკრები კი არის: მინდვრის ქარწბი, თაგვ-მარილა და თალხი. მინდვრის ქარწბის ნაწილები მოწითალო და ნაცრის ფერისაა, თაგვ მარილა მეტ ვირვალე, ღია, ნაცრის ფერისაა და თალხი კი შავისა. ჰაერი და წყალი შლიან გრანიტს, გამოჰყოფენ მის შემადგენელ ნაწილებს, მერე წყალს მიაქ-მოაქვს ხოლმე და ცალ ცალკე ანაწილებს, რადგან ნაწილების სიმძიმე სხვა და სხვაა.

მინდვრის ქარწბი თიხას აკეთებს, თაგვ-მარილა კი—ქვიშას.

აგურის გასაკეთებლათ საჭიროა თიხა, რომელშიაც ურევენ ცოტა წმინდა ქვიშის ნაწილს, რადგან არ ვარგა, თუ ქვიშაში მოყვება ქვები.

აგურის გასაკეთებლათ სუფთა თიხაა საჭირო, მიწა არ უნდა იყოს შიგ გარეული. მუშა მიწას აშორებს თიხას, ორმოებიდან ამოაქვს სუფთა თიხა და ერთ თვლიან ურმით მიაქვს აგურების ფანჩატურში. აქ თიხას წყალს ასხამენ და ფეხებით ზელავენ. დიდრონ ქარხნებში თიხას აზელინებენ ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს, ცალკე ამისთვის გამართულ მანქანით. თუ თიხა ძალიან ბოხიერია, შიგ ცოტაოდენ ქვიშას ურევენ. მუშა იღებს ხელში თიხის ბეღტს, ჩააგდებს მას ყალიბში და მერე მოჰყვება ფეხით ტკეპნას. ფეხზე აცვია ხოლმე ხის ქერქის ქალამნები. ყალიბს რაც ზემოდან გადარჩება თიხა, ნიჩბით ასწორებენ-მერე ყალიბს ამოაცლიან, მოაშორებენ, აგურს ფრთხილათ გადმოიღებენ და გადააქვთ გასაშრობათ, სარდაფში მიწაზე რიგ რიგათ ამწკრივებენ. ამ გვარათ სულ ადვილათ კეთდება აგური. მაგრამ საუკეთესო აგურს დიდრონ ქარხნებში მანქანების ძალით სწვამენ. ყალიბში გამოყვანაც, დაზელაც და გაშრობაც ყველაფერი მანქანების შემწეობით კეთდება და ამ გვარ აგურსაც მანქანის აგურს ეძახიან.

საზოგადოთ აგურის გაშრობა საჭიროა ზემოდან და გვერდებიდან დახურულ სარდაფში. როდესაც აგური იმდენათ გაშრება, რომ ზემოდან თითების დაჭირებით არ ჩაიწევა, მას აწყობენ ხარიხათ, ფანჯრებივით, რომ ჰაერმა გაუაროს და მალე გაშრეს. როდესაც ნაცრის ფერს მიიღებს, მაშინ აწყობენ ერთ თვალიან ურემში და მიაქვთ დასაწვავათ საკუთრივ ამისთვის გამართულ ფეჩში.

აგურის დასაწვავი ფეჩი წარმოადგენს ოთხკუთხათ ამართულ, ასე რვა არშინამდის, აგურის კედელს. ამ კედლების შიგნით, მიწაზე, სიგძით, გაწეულია კედელი, სიმაღლით არშინი, ან არშინ ნახევარი, გადახურული მესერებიანი თაღებით, ეს საცეცხლეა აგურის დასაწვავათ. თაღებს იმიტომ უშენებენ რომ ალი თავისუფალათ გადი—გამოდიოდეს. ცეცხლის შესაკეთებელს ორივ მხრივ უკეთებენ, რომ მუშები უფრო ადვილათ მიუდგნენ.

ამ მესერებიან თაღებზე ხარიხათ აწყობენ დასაწვავათ მომზადებულ აგურს, ისე მოხერხებით კი, რომ ცეცხლმა თანაბრათ გაუაროს ყოველ აგურს.

ფეჩში დასაწვავათ შედებულ აგურს ზემოდან ადებენ უკვე დამწვარ აგურს, რომ ცეცხლმა უფრო დასწვას.

როდესაც იწყებენ ავურის დაწვას, ცეცხლს ძალიან არ შეუკეთებენ, რომ სველი აგურის ოხშივარი ნელ ნელა გამოვიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ცეცხლს დიდათ შეუკეთებენ და აგური ძალიან გახურდება, ორთქლი უმალ გამოვა გარეთ და აგურში მრავალი გახეთქილი ადგილები გაჩნდება. ამ გვარი აგური ასაშენებლათ გამოსადეგი არ არის.

წყლის ორთქლი, როდესაც პირველათ შეუკეთებენ ცეცხლს, ძლიერ გამოდის გარეთ. როდესაც აღარ არის ორთქლი, მაშინ ცეცხლს ძლიერს აძლევენ.

აგური იწვის. ესაქმე ახლა ისაა, რომ ცეცხლი ერთნაირათ იყოს შეკეთებული—არც მეტათ და არც ნაკლებათ და აგური არ მიიყვანოს დადნობამდის, თორემ აგური მაშინ ფორმასაც ჰკარგავს, პატარავდება და ზემოდან რაღაც ჰიქისგვარი ეკვრის. ამგვარი აგური რასაკვირველია არ გამოდგება ასაშენებელ მასალათ. ამიტომ მუშები ძალიან თვალს ადევნებენ და როგორც კი შეამჩნევენ, რომ ცეცხლი გაძლიერდა, მაშინვე მიაყრიან მიწას.

როდესაც ნახავენ რომ აგური გამოიწვა, ცეცხლის შეკეთება თავდება. დააცლიან რომ აგური იმდენათ გაცივდეს, რომ ტყავის ხელთათმანებით შეიძლებოდეს მისი ხელის ხლება, მაშინ ფეჩს აღებენ, ზემოდან დაწყობილ ძველ აგურს აცლიან, ახალი აგური გამოაქვთ და გასაყიდათ აწყობენ.

**ან. წ — ისა.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი დედამიწა.

## რა გავლენა აქვს წლის დროებს ცხოველებსა და მცენარეებზედ.

ვენ ვიცით რომ მცენარეებს სიცოცხლისათვის ესაჭიროებათ საზრდო-წყალი, სითბო და სინათლე, რომელსაც ისინი პოულობენ ჰაერსა და ზეადაგში. ცხოველებიც სწორეთ ამგვარადვეა: მათაც ეჭვირვებათ საზრდო, წყალი და ბევრს მათგანს უყვარს მზის სხივებიც.

გარდა საზრდოსა მცენარეებსა და ცხოველებს ესაჭიროებათ დასვენებაც. გაგიკვირდებათ განა? მერე და როდის და როგორ ისვენებენ მცენარეები! გაგიგონიათ განა მათი დასვენება? ცოტათი დაფიქრდით, იქნებ თქვენ თითონ მიხვდეთ: ეგებ ზამთარში, ან ზაფხულში, ან ღამით ისვენებენ, ისე როგორც ყოველი სულდგმული.

უმეტეს ნაწილს ცხოველებისას დღითაც სძინავთ და ღამითაც. მცენარეები კი იზრდებიან დღის სინათლეზედ უფრო, ვიდრე ღამით.

ჩვენში მცენარეულობას ზამთრობით თითქო სძინავს. ამ ძილისა და მოსვენების თავდარიგს ისინი შემოდგომიდანვე შეუდგებიან, როცა მათ ფოთლები უყვითლდებათ და სცვივათ, როცა აღარ აწვდის საზრდოს თავის შრიალა ფოთლებს, ისინი გაშიშვლებულნი და გაშეშებულნი, დგანან. მაგრამ, დადგება თუ არა გაზაფხულის თბილი დღეები, მათაც დაუდგებათ დრო ნეტარებისა. მათი მასაზრდოებელი წვენი ისევ ამოძრავდება და დაუვლის მთელს არსებას მცენარეებისას, ყველა მის ნაწილებს: ტანს, ტოტებს, ფოთლებს და ფესვებს. ამის მომასწავებელია ის, რომ გაზაფხულზედ ისე მალე დავინახავთ გაფუვებულ-გადიდებულ კვირტებს ხეებზედ; მალე იმასაც შევამჩნევთ, რომ ამ კვირტებიდან გამოიფოთქება ყვავილები და ფოთლებიც და მცენარე შეიმოსება მწვანე სამოსელით.

ყველამ იცის რომ დადგა გაზაფხული, როცა დაინახვენ გაბუმბლულ-შექინქლულ ბზას. იგი ყველაზედ უწინ იღვიძებს და შეიმკობა ყვავილებით. შემდეგ კი დანარჩენი ხეები.

აგერაც რილოებში გამოჩენილა მწვანე ბალახები და ნაადრევი ყვავილები. ნეტა საიდან გაჩნდენ ისინი აქ ასე ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე, როგორ არ დაიღუპენ და არ მოისპენ ზამთრის სუსხისაგან? ისინი ამოვიდენ პაწია თესლებისაგან, რომელნიც ჩამოცვივდენ ბალახებსა და ყვავილებს შემოდგომაზედ. რომ ისინი ზამთრის სუსხისაგან არ დაძრულიყო — იმისთვის გახვეული იყო საკმაოთ მაგარ ქერქში. მთელი ზამთარი ამ თესლებმა მიწაში გაატარეს, მინამ არ დაათბო და გააღოლოვა გაზაფხულის მზის სხივებმა და ნოტიობამ. მათი გავლენით პაწია თესლი გასკდა, ძირს ჩაუშვა ფესვები და ზევით კი ამოუშვა ღეროო. ზაფხულის განმავლობაში ეს პატარა მცენარეები მოასწრობენ გაზრდას, დამთავრებას და დათესლიანებას. სანამ მას შემოდგომის სიცივე და ქარები მოუსწრებდეს, თესლი კიდევაც დასრულდება და დამწიფდება. ამის შემდეგ მთავარ მცენარეს უყვითლდება ფოთლები და ხმება. რჩება მხოლოდ მისი თესლი მიწაში ჩაცვივნული სადმე ხავსში, ან ფოთლებსა და თოვლ ქვეშ. ამისთანა სათბუნებელიც რომ ვერ იპოვოს თესლმა, მას მაინც შეუძლია იარსებოს, იცოცხლოს, რადგანაც დედა მცენარემ ის კარგათ დათბუნა, შემოახვია მაგარი და მკვიდრი ქერქი.

აი კიდევაც გაშლილა ქოჩორა ყვავილი. ნეტა საიდან მოიკრიბა ამდენი ძალ-ღონე ამ მცენარემ რომ ასე ნაადრევათ ღეროც ამოუშვა მიწიდან, შეიფოთლა და შეიმკო კიდევ ყვავილებით? ქოჩორა ყვავილმა შარშანვე ჩატოვა მიწაში თავისი სურინჯანი (თქვენ გენახებათ უთუოდ კარტოფილი მაინც) ამ სურინჯანში შემონახული ჰქონდა შემოდგომიდგანვე საზრდო მომავალი მცენარისათვის. ამიტომაც, გაზაფხული თუ არა, გამოიფოთქა ყვავილებიცა და ფოთლებიც.

არა მარტო ქოჩორა ყვავილმა იქონია თავდარიგი საზრდოსი მომავალი მცენარისათვის. მას გარდა ბევრისაგან ბევრს გაზაფხულის ყვავილებსა აქვთ მიწაში ჩამარხული სხვა და სხვა გვარი ბოლქვანარები, სურინჯანები და ძირკვები მზამზარეული საზრდოთი და აბა რაღა გასაკვირია, თუ ისინი გაზაფხულზედ სხვაზედ ადრე მოასწრობენ გახარებას, აყვავებას და ფოთლების გამოტანას.

ცუდი დღე ადგიათ ზამთარში ცხოველებსა და მწერებსაც, მაგრამ იმათაც კარგათ იციან როგორ დააღწიონ თავი ზამთრის სუსხს.

ბევრი მხეცია რომ საზამთროთ მოძებნის სადმე მყუდრო ადგილს, შეძვრება სოროში და სძინავს მთელი ზამთარი: — არც არასა სჭამს, არც არასა სვამს და არც იძვრის ადგილიდან, ისეა გაშეშებული, სანამ არ მოუწევს გაზაფხული.

იმალებიან აგრეთვე საზამთროთ გაბურძგნული მაჩვები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღარბები, მუდამ მხიარული ხტუნია ციყვები, დათვები. აფარებენ თავს ქვის ქვეშ, ხეების ძირებს და ჭანებს ხვლიკები, გველები და მწერები. მაგრამ, დადგება თუ არა გაზაფხულის თბილი დღეები, მათ სუყველას სითბო მალე გამოიყვანს გარეთ იქ, სადაც აქამდის ყველაფერი მკვდრათ იყო.

ეხლა გამოფხიზლდება, გამოცოცხლდება მთელი დედამიწა, წყალი და ჰაერი.

ბევრი ცხოველებთაგანი საზამთროთ იცვლიან თავიანთ მოკლე ბეწვიან ქათიბს უფრო გრძელ ბეწვიან **ბამბურაზედ**. ამგვარ ბეწვში მათ სიცივე ვერ შეატანს და ვერ შეაწუხებს ცხოველს, ოღონდ კი სიმშილმა არ დარიოს მას თავისი ულმობელი ხელი.

ბევრი ფრინველები ზამთრის შიშით არც კი რჩებიან წლის განმავლობაში ერთ ადგილს. მოახწევს თუ არა ზამთარი, ისინი გადაფრინდებიან უფრო თბილ ქვეყნებში—ათი და ათასი ვერსის მანძილზე, სამხრეთისაკენ. დადგება გაზაფხული და ისინიც დაბრუნდებიან მხიარულები მით, რომ სამშობლოში მოვიდნენ, მორთავენ ჭიკჭიკ-გალობას, შეუდგებიან ბუდეების კეთებას და ბარტყების გამოჩეკას.

რა აიძულებთ ზოგიერთ ცხოველებს, მწერებს და ფრინველებს საზამთროთ ძილს მისცენ თავი, ან გადაფრინდენ თბილ ქვეყნებში? მათ აიძულებთ უმეტესათ სიმშილი და არა სიცივე, როგორც ეს ბევრს ჰგონია. იმ ცხოველებსა და ფრინველებს, რომელთაც ზამთარშიაც შეუძლიათ მოპოვება საზრდოსი, არა სძინავთ და ამიტომაც ისინი ისევ ისე **გაშლით** ცხოვრობენ როგორც ზაფხულში, თუმცა მათ ადვილათ არ უჯდებათ ზამთრის სუსხის ატანა.

დაძრწის და დაწანწალებს ზამთარში ტყესა და თოვლით დაფენილ მინდორ-ველში მგლების ხროვა. ყურცქვიტინა რუხი კურდღელიც გამოცუნცულდება ღამით, რომ შემოხრას ხის ქერქი ეს ერთად ერთი მისი საზამთრო საზრდო. ბელურებმა, ყვავებმა, ტარბებმა და მეტოლიებმა სხვა რომ ველარაფერი იპოვეს საჭმელი, მიეტანენ მჭნავს და ბევრ სხვა მსხმოიარე ბუჩქებსა და **ხეებს**. არ იწუნებენ არც რამე ნამცეცებს, რასაც კი წააწყდებიან ხალხის საცხოვრებელ ბინის **გარშემო**.

ადამიანს როდი ესაჭიროება დღეს აქ ცხოვრება და ხვალ იქ წლის დროის მიხედვით. მაგრამ საზამთროთ თავდარიგი მასაც კი სჭირია, რომ ყინვამ და თოვლმა ისე არ დასტანჯოს, როგორც ზოგიერთი ცხოველები. ის ამ დროისათვის შემოდგომიდანვე ზრუნავს, თადარიგს იჭერს, რადგანაც იცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ შეუძლია მას ძილს მიეცეს ისე, როგორც მხეცები, არ იფარება ბამბულა გრძელი ბეწვით რომ დაათბოს. ადამიანმა როგორც გონიერმა არსებამ, კარგათ იცის ეს ყველაფერი და ამიტომაც ემზადება ამ სასტიკი დროისათვის: იცვამს თბილ ტანისამოსს, შემოდგომისთვის ემზადება, ინახავს ყოველივე სანოვაგეს, ახურებს ღუმელებსა და ბუხრებს. რომ ბინა თბილი ჰქონდეს და აი ამნაირათ სრულებით უშიშრათ ატარებს ზამთარს.

## კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო.

**რომელ ხეებს სცვივათ შემოდგომაზედ ფოთლები?**

**რომელ ხეებს არა სცვივათ ფოთლები მთელი წლის განმავლობაში?**

**ეგებ იცოდეთ ისეთი მცენარე, რომელიც შემოდგომაზედ ხმება და კვდება?**

**დამისახელეთ მრავალწლოვანი ხეები?**

**ამოთხარეთ სხვა და სხვა მცენარეები გაზაფხულზედ და დაუკვირდით მათ ძირებს.**

**შეუძლია მცენარეს იხაროს სრულებით მშრალ ზეადაგზედ?**

**მოტეხეთ ადრე შემოდგომაზედ ბზის ტოტი და ჩადგით წყალში. დააკვირდით აბა როგორ შეიგინგლოს მისი კვირტები და დაიფაროს ყვითელი მტვრით.**

**დაიხსომეთ აბა თუ ბზის ყველა გაშლილი ყვავილები ერთგვარია?**

**შეადარეთ სხვა და სხვა ყვავილები. შეხედეთ აბა რა შერჩება ბზას თქვენს ბაღში, როცა ყვავილი გასცვივა.**

**როგორ მოქმედობს ყინვა ბაღის ხეხილებზედ?**

**როგორ იფარვენ მათ ზამთრის სუსხისაგან?**

**იცით თუ არა იმისთანა ცხოველი, რომელიც საზამთროთ ინახავს თავისთვის სურსათს? მიამბეთ რა იცით იმაზე.**

**რომელი ცხოველები ეძლევიან ძილს საზამთროთ?**

**რომელი გადამფრენი ფრინველები იცით.**

**რატომ გვტოვებენ ჩვენ ზოგი ფრინველები და მიფრინავენ თბილი ქვეყნებისაკენ?**

**რომელი ბინადარი ფრინველები იცით?**

**შეიხედეთ შემოდგომაზედ ან ადროვან გაზაფხულზე რომელიმე დიდი ქვის ქვეშ, ან დამპალი ხის კანის ქვეშ,ან გადასწიეთ ხავსი და დაუკვირდით ყურადღებით რასაც დაინახავთ.**

**წლის რომელ დროში გადაფრინდებიან გუნდ-გუნდათ თავმოყრილი გარეული ბატები, იხვები და სხვა გარეული ფრინველები? რომელი მხრისაკენ მიფრინავენ?**

**რითი საზრდოობენ ის ფრინველები, რომელნიც ჩვენთან რჩებიან საზამთროთ? ან ის ცხოველები, რომელთაც არა სძინავთ ზამთარში?**

**ფიცარზე გამოიყვანეთ თიხისაგან, ხის პატარა ტოტებისაგან და ბამბისაგან, თუ როგორ გაქვთ წარმოდგენილი სოფელი ზამთარსა ან ზაფხულში.**

შემდეგი იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრული 28 წლების

ყურნალი

# ჯეჯილი

იყიდება რედაქციაში. თითო
წლებისა ღირს 5 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1919 წ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# ჯეჯილი

წელიწადი 30 ფ.

ფასი 30 ფ.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

1919 წ. შეერთებული იქნება 1918 წლის ნომრებთან და გაძღოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი გვნეოფილებია, ბატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და თვით **ჯეჯილის** რედაქციაში, ორტილერიის ქუჩა; № 5.

**ჟურნალი** წლიურათ ღირს 20 მან. ნახევარი წლით 11 მან. ცალკე ნომერი—2 მან. **ჟურნალში** მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

ხელმძღვანელთა ახლათ შემდგარი კომისია (ქრ. შარაშიძე, ალ. ფალავა. ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა—გელაშვილი), შეეცდება ჟურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდოს საღი გონებრივი საზრდო.

ფოსტის ადრესი: თბილისი, საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ რედაქცია.

რედაქტორ—გამომცემელი **ან. წერეთლისა.**